

სოიას თესვა-მოყვანის ტექნოლოგიის თავისებურებანი დასავლეთ საქართველოში სფერულ კვლებზე თესვისას

კულტურის მნიშვნელობა. სოია მსოფლის მცენარეული ცხიმების წარმოების ერთპიროვნული ლიდერია, მის ზეთზე მოდის კაცობრიობის მიერ სურსათად მოხმარებული ზეთის 58%! მსოფლიოში წარმებული კომბისაკვების 87% დაბალანსებულია სოიას შროტით! სოიას მარცვლის თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიებით გადაამუშავებული ინგრიდიენტები გამოიყენება 1200-ზე მეტი დასახელების საკვებ და სასურსათო პროდუქტში!

წინამორბედი. სოიას საუკეთესო წინამორბედად კოლხეთის დაბლობის ღრენირებულ ნიადაგებზე ითვლება სიმინდი და წითელი სამყურა თესლბრუნვაში ან თვით სოია ფერმისპირა და სხვა ფართობებზე, რომელთა მოსავლის აღებისთანავე კალენდარული ვადების მიხედვით უნდა დაიგეგმოს და შედგეს სოიას თესვა-მოყვანის გრაფიკი, ვინაიდან მისი ზუსტი დაცვა მაღალი მოსავლის მიღების გარანტიას წარმოადგენს.

ზენა უნდა დავიწყოთ ადრე გაზაფხულზე, (მარტის 1-2 დეკადა) ნიადაგის ზედაპირის შემშრობისას და ტექნიკის მუშაობის შესაძლებლობების გაჩენისთანავე სრულ სიღრმეზე (23-25სმ) სფერულ კვლებზე მიღებული ტექნოლოგიის შესაბამისად (ნაზურგად ზენა). ზენის წინ შეტანილი უნდა იქნას ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების სრული ნორმა.

დაფარცხვა . პირველი დაფარცხვა დისკოებიანი ფარცხით უნდა ჩატარდეს ბელტის შემშრობისა და მისი დაშლისთანავე (აპრილის პირველი დეკადა), ხნულის მიმართ 25-30⁰-იანი კუთხით.

მეორე დაფარცხვა უნდა ჩატარდეს ნალექების შემდეგ (აპრილის მე-2 დეკადა) ხნულის მიმართულებით. ფარცხზე ჯაჭვებით უნდა მიებას ფარცხის სიგანის ერთმაგი შველერი, რომლის წიბოები მიმართული უნდა იყოს ნიადაგის ზედაპირისაკენ (ნახ. 2). ნიადაგის ასეთი მეთოდით მოსწორება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან კარგად მოსწორებულ ნიადაგზე მაღალკონდიციური თესლის თესვის ხარისხოვანი ლოჟირება და ფარცხვა-გაფხვიერება-კულტივაციის ეფექტურობა მნიშვნელოვნად იზრდება.

თესვა. თესვის წინ აუცილებლად უნდა ჩატარდეს სოიას თესლის ლაბორატორიული ანალიზი ჯიშობრივ სიწმინდეზე, გალივებისა და აღმოცენების უნარზე, თესვის ნორმის დასაზუსტებლად.

თესვა სასურველია ჩატარდეს სპეციალური ან სიმინდის გადაკეთებული სპჩ-6 ან სპს-6 ტიპის პნევმატური სათესით, აპრილის მე-3 დეკადაში ან მაისის პირველ დეკადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 მაისისა. 70 სმ-იანი რიგთაშორისი ადგილობრივი ჯიშების (კოლხიდა, უნივერსალი და სხვ) თესვის შემთხვევაში 300 000 აღმოცენების უნარის მქონე თესლით (ჰექტარზე საშუალოდ 42 კგ), სათესის წინა კბილანა –22, ხოლო მტკეპნავი კბილანა – 16. თანამედროვე, ახლად დარაიონებული უხვმოსავლიანი ჯიშების (თვალხატულა, ბი-2 და სხვა) თესვის შემთხვევაში 60 სმ-იანი რიგთაშორისების შემთხვევაში მცენარეთა საჰექტარო რაოდენობა უნდა გაიზარდოს 400 000 აღმოცენების უნარის მქონე თესლის თესვით (58 კგ/ჰა).

დრენირებულ და ყუათიან ნიადაგებზე, აგრეთვე შესაბამისი ექსპოზიციისა და განათებულობის შემთხვევაში, შესაძლებელია ასეთი ჯიშების თესვა შემჭიდროებულ (35-45 სმ) რიგებადაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ჰერბიციდების გამოყენებას ალტერნატივა არა აქვს. რიგთაშორის 35 სმ-ის შემთხვევაში (გავლა-გამოვლით თესვა) ჰექტარზე ითესება 500 ათასი აღმოცენების უნარის მქონე თესლი, რაც მასაში 76 კგ-ის ტოლფასია.

სოიას სათესლე ნაკვეთები ნებისმიერი ჯიშის თესლის გასამრავლებლად უნდა დაითესოს 70 სმ-იანი რიგთაშორისებით, მაქსიმალურად ნაყოფიერ ნიადაგებზე ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების სრული ნორმის შეტანით, კოჟრის ბაქტერიების აქტიური შტამებით (ნიტრაგენით) თესლის ინოკულიაციით მზისაგან დაცულ პირობებში, ჰერბიციდების შეტანისა და 2-ჯერადი კულტივაციის პირობებში.

თესვის კამპანიის დასრულებისთანავე უნდა შედგეს თესვის აქტი და სასურველია მოხდეს ნათესების დაზღვევა სადაზღვეო კომპანიაში.

ნათესების მოვლა. აღმოცენებისთანავე უნდა ჩატარდეს ნათესის დათვალიერება-შემოწმება აღმოცენების და თესვის ხარისხის დასადგენად და არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში უნდა შესდგეს აქტი ნათესის დალუპვაზე, ჩატარდეს ღრმა ფარცხვა, მოსწორება და განმეორებით თესვა.

ნათესების დათვალიერება უნდა ტარდებოდეს ყოველ დეკადაურად, კარგი აღმოცენების და განვითარების შემთხვევაში, თუ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი უხვი ნალექები მოვიდა, ნიადაგი იტკეპნება და წარმოიქმნება ქერქი. მიუხედავად იმისა, რომ ქერქი უმნიშვნელო უარყოფით გავლენას ახდენს სოიას მცენარის აღმოცენება-განვითარებაზე, საჭიროა მისი მოსპობა. 70 და 60 სმ-იან რიგებში უნდა ჩატარდეს კულტივაცია-გაფხვიერება, მ.შ. ბრტყელი დანებით დაბალ სიჩქარეზე, ხოლო შემჭიდროებულ რიგებში (35 სმ), დაფარცხვა უნდა ჩატარდეს კბილებიანი ფარცხით ნათესის მიმართულებით, ჰერბიციდების შეტანამდე 10-12 დღით ადრე.

სავეგეტაციო პერიოდში უნდა ჩატარდეს მიმდინარე სამუშაოები: სადრენაჟე არხების და მთავარი კოლექტორების ამოსუფთავება და მოწესრიგება, დაზიანებული ღობეების აღდგენა და სხვ.

მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, ყოველ დეკადაში უნდა მიმდინარეობდეს დაკვირვება ნათესებში დაავადებებისა და მავნებლების გამოსავლინებლად და მათთან ბრძოლის ჩასატარებლად (საჭიროების შემთხვევაში).

ჰერბიციდების შეტანა. საქართველოს ტენით უზრუნველყოფილ ზონაში სოიას ნათესებში თითქმის ყველა სახის სარეველებთან საბრძოლველად საუკეთესო შედეგს იძლევა ჰერბიციდი "პივოტი", რომლის საჰექტარო ნორმა კოლხეთის დაბლობის პირობებში 0,8 ლიტრი ჰერბიციდია ჰექტარზე. იგი წინასწარ უნდა გაიხსნას 1 ვედრო წყალში (9 ლიტრი წყალი დაემატოს), კარგი მორევით მიღებული სუსპენზია გაიხსნას 240 ან 290 ლიტრ წყალში "მუშა ხსნარის" მისაღებად (1 ჰექტრის მოსაფრქვევი დოზა) ყოველი 3000 კვ. მეტრის მოფრქვევის შემდეგ, აგრეთვე უნდა გაჩერდეს და მოხდეს წყალხსნარის გადარევა, თუ აპარატს არა აქვს ხსნარის გადამრევი ავტომატური მოწყობილობა.

ამ ჰერბიციდის შეტანის ოპტიმალური პერიოდია სოიას 3-5 ნამდვილი ფოთლის ფაზა. ჰერბიციდების შეტანიდან 6 საათში უნდა დაიწყოს სარეველა მცენარეების ფოთლების ფერის შესამჩნევი შეცვლა და სარეველების განვითარების შეჩერება, ხოლო მათი მოსპობა მიმდინარეობს 2-8 კვირის განმავლობაში. ამ პერიოდში მიზანშეწონილი არ არის ნათესების რიგთაშორისების ნიადაგის კულტივაცია ან

გაფხვიერება ჰერბიციდის აფსკის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. 7-8 კვირის შემდეგ სოიას რიგები ერთდება და გადაიფარება, რის შემდეგ სარეველების განვითარებას შესაძლებლობები აღარ აქვთ.

მოსავლის აღება უნდა დაიწყოს სოიას ზედა პარკების სრული სიმწიფის ფაზაში, როცა მცენარის ყველა ფოთლები ჩამოცვივდება. კომბაინებმა მაქსიმალურად დაბალ ჭრაზე უნდა იმუშაონ, რათა თავიდან იქნას აცილებული დანაკარგები ქვედა პარკების მოუჭრელობის გამო.

აღებული მოსავალი ბუნკერიდან გადაიტვირთება ტრანსპორტში და მიდის გასაშრობად წინასწარ სოიასათვის მომზადებულ ბელელში, სადაც მარცვალი დაცლის წინ ტარდება სასწორზე საბუნკერო წონის დასადგენად

მარცვლის გაშრობა და გაწმენდა. მიღებული მარცვალი აუცილებლად უნდა გამოშრეს და გაიწმინდოს, ვინაიდან ამ დროს ტენიანობა 18-20%-ია. გამოშრობის შემდეგ ტენიანობა 13%-მდეა, ამისათვის კი საჭიროა ბელელის აქტიური ვენტილიაცია და მარცვლის სისტემატური გადაბრუნება ხის ნიჩბებით ჩახურების და დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. მშრალი მარცვალი უნდა გაიწმინდოს "ვიმ"-ში ან "პეტკუს"-ში და დაფასოვდეს 50 კგ-იან კრაფტის ტომრებში, დალაგდეს ჯვარედინად, ზიგზაგებად ან გამოტოვებულ რიგებად მშრალ ადგილას.